ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1356339

ნომერი: AR1232045

თარიღი : 25.06.2014

გაცემის თარიღი : 30.06.2014

გაცნობის თარიღი : 30.06.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ინგერი ყურმაშვილი პ/ნ 01010014050
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ IV მ/რ კორ. 13 ბ. 85

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ნ/2435-1
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 17.08.2011

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა2014 წლის 25 ივნისს შემოსული AR1232045 ელექტრონული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ N 34–ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.14.03.042.139), მრავალფუნქციური შენობის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 25.04.2014 წლის N ბ-12/13364487-16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების წერილობით დადასტურებას.

"მშენებლობისნებართვის გაცემის წესისა და სანებართვოპირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. N57 დადგენილების 62-ე მუხლისპირველი პუნქტის ,,პ" ქვეპუნქტის თანახმად - "ქ. თბილისში

(გარდა V კლასის შენობა-ნაგებობებისა) თუ წარმოებულიმშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებსმშენებლობის ახალ ნებართვას, თუმცა სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და დამკვეთსუარი ეთქვა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე, დამკვეთის მიერ ექსპლუატაციაშიმიღებაზე უარის თქმისშესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მშენებლობისნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენის შემდეგ აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის გარეშე უკვე განხორციელებულიმშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მისიდასაშვებობისდადასტურებაზე. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შეთანხმებულისამშენებლო დოკუმენტისაგან განსხვავებით, ნაწარმოები მშენებლობის დადასტურება ხდება წერილობითიფორმით.

განხორციელებულიმშენებლობის გათვალისწინებით მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითიდოკუმენტაცია. დადასტურებისწერილი მშენებლობის ნებართვის განუყოფელი ნაწილია და უნდადაერთოს ამ დადგენილებითგანსაზღვრულისამშენებლო დოკუმენტის ყველა ეგზემპლარს;"

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

## გადაწყვეტილება

სამსახური ადასტურებს ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ N 34–ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.14.03.042.139), მრავალფუნქციური შენობის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 25.04.2014 წლის N ბ-12/13364487-16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ–სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მათ დასაშვებობას ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

წინამდებარე წერილობითი დასტური განიხილება პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე სამსახურის 17.08.2011 წლის #ნ/2435-1 ბრძანებასთან ერთად და წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის განუყოფელ ნაწილს.

---

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.